# ლელო

№ 5 (11 257)

22 - 25 იანვარი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**დღეს და „ლელოს" ყველა ნომერში**
**ახალი ამბები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან**

## სფფ 140 ათასი ლარით დაეხმარება კლუბებს, მაგრამ ჯერ მათ ფედერაციის ვალი 37 ათასი უნდა გადაიხადონ

სწორედ 37 ათასი ლარი შემორჩათ ეროვნულ ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშების მეორე წრის წინ ჩვენს საფეხბურთო კლუბებს. სფფ-მ აქამდე გაუგონარი ნაბიჯი გადადგა — კლუბების მესვეურებს აუწყა, რომ თუ ისინი თავიანთ ვალს სფფ-ს მიმართ, რაც საერთო ჯამში 37 ათასი ლარია, მიმდინარე წლის 1 თებერვლამდე დაფარავენ, ფედერაცია გათამაშების ბოლომდე არანაირ თანხას არ მოსთხოვს კლუბებს, პირიქით, მეორე წრეში მსაჯების გასაცემ ფულს მთლიანად ფედერაცია გაიღებს, რაც საერთო ჯამში 140 ათას ლარს შეადგენს. აქვე განვმარტავთ, რომ დავალიანებაში, რომელიც კლუბებს შემორჩათ, შედის ჯარიმების თანხები, სამსაჯო და საწევრო გადასახადები.

რა ბედი ეწევათ, ვინც დათქმულ თარიღამდე, ანუ 1 თებერვლამდე ვერ დაფარავს სფფ-ს ვალს? როგორც „ლელოს" კორესპონდენტს ფედერაციაში განუმარტეს, ასეთი კლუბები მიიღებენ გაფრთხილებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე წრის პირველ მატჩამდე დაფარონ ძველი ვალი, მეორე წრის სამსაჯო თანხას კი, ასეთ შემთხვევაში თავად გადაიხდიან. მოკლედ, შეღავათის პირობების სიკეთით ვინც დროულად ვერ ისარგებლებს, თავადვე დაისჯის თავს ფინანსურად. მაგრამ თუ ესეც არ იკმარა, მაშინ მოვა უარესი — გაირიცხება გათამაშებიდან დებულების შესაბამისად.

ხომ შეიძლება კლუბმა უშუალოდ

იხ. მე-3 გვ.

**რაგბი ● სიხარული და... სინანული**

## ჩვენმა მორაგბეებმა შეიძლება სამოთხეში ამოჰყონ თავი

სულ მალე თბილისელი და ეროვნული ნაკრების მორაგბეთა გაწამებულ სპორტულ ცხოვრებას შეიძლება ბოლო მოეღოს — კეთილების საბოლოო დასტური და... თბილისის ზღვის მიდამოებში „შესაფერისი ტერიტორია გამოიყოფა მორაგბეებისთვის. ნავარაუდევია სამმოედნიანი კომპლექსის გაშენება, რომელიც ახლო მომავალში დედაქალაქის და, საერთოდ, ქართული რაგბის ცენტრად უნდა იქცეს.

## „ტროფიზე" მეორედაც წავაგეთ

საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტის ბიძინა გეგიძის. თქმით, ჩვენი ქვეყნის ნაკრები განაგრძობს მზადებას მსოფლიო თასის ფინალურ ტურნირში მოსახვედრად და საამისოდ, პირველ ყოვლისა, ტონგას მორაგბეები უნდა დაამარცხოს. როგორც ცნობილია, და ამის შესახებ „ლელოც" იტყობინებოდა, ქართველი ბორჯღალოსნების ექსპერიმენტული შემადგენლობა ამ დღეებში უელსში იმყოფება იქაური რაგბის ფედერაციის მიერ მოწყობილ საერთაშორისო ტურნირზე („ტროფი"). პირველი შეხვედრა, იცით, ჩვენებმა კლუბ „აბერაონთან" წააგეს 0:42. წარუმატებელი გამოდგა მეორე მატჩიც, „ნისსთან" დავმარცხდით ანგარიშით 14:59. მესამე მატჩი ქართველმა რაგბისტებმა წუხელ გვიან ღამით გამართეს.

## რევაზ ძოძუაშვილი: ამდენ ხარჯს ლატვიაში ტყუილუბრალოდ არავინ გასწევს

„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი ამ დღეებში იმყოფებოდა ლატვიის დედაქალაქ რიგაში, სადაც ბლიც-ინტერვიუ ჩამოართვა საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს

● ***თქვენი გუნდის მეტოქე ევრო-2000-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრებია. მასზე ორჯერ მეტი ქულა გაქვთ და ლიდერად მოგვევლინეთ. როგორი განწყობით შეხვდით შობა-ახალ წელს?***

— ცხადია, განწყობა ოპტიმისტურია, ყველანაირად ვეცდებით მოპოვებული პოზიციების შენარჩუნებას. ამისათვის უკვე შევუდექით ინტენსიურ მზადებას.

● ***სამწუხაროდ, ქართველებს მზადების გეგმა ჩაეშალათ — ტაილანდის ტურნირი გადატანილია სამერმისოდ. თქვენ რასა იქმთ?***

— 31 მარტს რიგაში მივიღებთ ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტს — საბერძნეთის ნაკრებს. რათა ელინებს ღირსეულად დავუხვდეთ, თებერვლის მეორე ნახევარში ნაკრების საბაზო გუნდ „სკონტოსთან" ერთად ორი კვირით მივემგზავრებით ისრაელს, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გავმართავთ ადგილობრივ კლუბებთან, ხოლო 24 თებერვალს ისრაელის ეროვნულ ნაკრებსაც გავეჯიბრებით.



● ***სულ ეს არის?***

— ცხადია, არა, 5 მარტს ერთი კვირით გავემგზავრებით ბერმუდის კუნძულებზე, სადაც ორჯერ ვეთამაშებით ამ ეგზოტიკური ქვეყნის ნაკრებს. იქიდან ჩამოსულები რამდენიმე დღეს დავისვენებთ და კვლავ საზღვარგარეთ, ამჯერად იტალიაში წავალთ სავარჯიშოდ. თავად განსაჯეთ, როგორი დატვირთული დღეები მოგველის.

● ***ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენს ნაკრებს შორს მიმავალი გეგმები აქვს?***

— ასე რომ არ იყოს, ამდენ ხარჯს გუნდის მოსამზადებლად ლატვიაში არ გასწევდნენ.




## ეს კაცი შეუპოვრად იცავს თავის პრინციპებს

**მოწინააღმდეგობებით** შეხვდა საფეხბურთო სამყარო ფიფა-ს პრეზიდენტ ზეპ ბლატერის იდეას მსოფლიო პირველობის ორწლიანი ციკლის შესახებ. თავად იდეის ავტორს კი მიაჩნია, რომ ამის განხორციელებით, პირველ ყოვლისა, ბოლო მოეღება ფინალური ტურნირების მასპინძლობის ევროპა-ამერიკის სტერეოტიპს. იგი დარწმუნებულია მასპინძლობის მსურველთა კანდიდატების ნაკლებობა ნამდვილად არ იქნება, რადგან ახლა იგი პირველად „შეაბიჯებს" აზიაში, შემდეგ შესაძლოა აფრიკასა და ოკეანეშიც კი. მსოფლიო თასის — 2006 ჩასატარებლად რვა ქვეყანა იბრძვის, და აბსოლუტურად არავითარ პრობლემას არ ვხედავ მომავალი ტურნირების მასპინძლობის მაძიებლებში. ფეხბურთი სპექტაკლი კი არა, განათლებაა პირველ ყოვლისა. უნდა დავუმტკიცოთ სკეპტიკოსებსაც, რომ თამაშების მცირე რაოდენობითაც შეიძლება ხარისხის ამაღლება.

ამ მიზნის მისაღწევად ბლატერს მიაჩნია ტურნირების მონაწილეთა რაოდენობის შემცირება. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ფიფა-მ და უეფა-მ შემოგვთავაზეს ეროვნული ჩემპიონატების უმაღლეს დივიზიონებში თექვსმეტი გუნდის გამოყვანა. ახლა შეიძლება ლაპარაკი საკონტინენტო და მსოფლიოს პირველობების შერჩევითი მატჩების შემცირების შესახებაც.

რაც შეეხება თავისი იდეის უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის მხრივ მიუღებლობას, ეს მსოფლიო ფეხბურთის პატრონმა, უბრალოდ, გაუგებრობით ახსნა.

— იუჰანსონი პირველ ხანებში აღაშფოთა ჩემმა წინადადებამ, ვინაიდან არასწორად განუმარტეს მას. მას შემდეგ ორჯერ ვილაპარაკეთ ტელეფონით, და, რა თქმა უნდა, ხანდახან განსხვავებული ინტერესები გვაქვს.

ბლატერი განსაკუთრებით შეჩერდა ბოლო დროის აქტუალურ პრობლემაზე — კომერციასა და კლუბების კომპანიათა ბირჟებზე კოტირებაზე, რაც მისი აზრით ეწინააღმდეგება ფეხბურთის სულისკვეთებას.

— როცა კლუბის აქციებს ჰყიდიან და ყიდულობენ ბირჟაზე, ფეხბურთი ემოციასა და ვნებათა ღელვას კარგავს. ამის წინააღმდეგი ვარ ულაპარაკოდ.

* * *

**ფიფას** პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი მხარს უჭერს ვიდეოგამეორების გამოყენებას დამხმარე საშუალებად კარის აღების საეჭვო სიტუაციის გასარკვევად. „არავითარ შემთხვევაში არ მსურს დავამცირო არბიტრის როლი, — თქვა მან, — მაგრამ ვფიქრობ, რომ ერთადერთი ვიდეოკამერის გამოყენება მეტი სიზუსტისათვის ზედგამოჭრილი იქნება". როგორ იცვლება ბატონ ბლატერის შეხედულებები! ჯერ კიდევ შარშანდელ შემოდგომაზე, ინგლისური ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებმა განაცხადეს მსგავსი ვარიანტის განხილვა, იგი სანქციებით დაემუქრა მათ. სხვათა შორის, 1994 წელს, როცა გერმანიის საფეხბურთო კავშირმა „ბავარია" — „ნიურნბერგის" მატჩის შემდეგ ვიდეოტექნიკის დახმარებას მიმართა, გერმანელები ოფიციალურად გააფრთხილეს, რომ მსგავსი მოქმედების გამეორების შემთხვევაში, მათ მსოფლიო პირველობაზე არ დაუშვებენ.

*ნბა-ში ლოკაუტის დამთავრებას ცოტაღა უკლდა, რომ მაიკლ ჯორდანმა საჯაროდ განაცხადა პროფესიონალ კალათბურთელობას აღარ ვაპირებო. მისმა მშობლიურმა ჩიკაგო ბულზმა" (ანუ „ჩიკაგოელმა ხარებმა") ამით, რა თქმა უნდა, უდიდესი დანაკლისი განიცადა. მაგრამ „ხარებს" ესეც არ აკმარეს — ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ (ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით) სკოტი პიპენი „ჰიუსტონში" გააგრძელებს კარიერას, ხოლო ჩიკაგოელთა კიდევ ერთმა და ალბათ ყველაზე ექსტრავაგანტურმა ვარსკვლავმა, 37 წლის დენის როდმანმა, ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. „წლეულს კალათბურთს საერთოდ არ გავეკარები, მერე კი ვნახოთ".*

*მოკლედ, „ჩიკაგო ბულზს", რომელიც ნბა-ს. ბოლო სამი გათამაშების გამარჯვებულია, ახლა ერთობ გაუჭირდება ტიტულის და ალბათ პრესტიჟის დაცვაც.*

## „ხარებს" საუკეთესო ბუღები გამოაკლდნენ

## სტეფანიას მინიმალური წლიური გასამრჯელო ნახევარი მილიონი აშშ დოლარი იქნება

მკითხველმა იცის, რომ ნბა-ში ლოკაუტი დასასრულს უახლოვდება, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ინტერესი ქართველი კალათბურთელის *ვოვა სტეფანიას* შემდგომი კარიერით. სლოვენიის „ოლიმპია" ამერიკულ „სიეტლ სუპერსონიკსს" ჩვენებურის სანაცვლოდ ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვდა, იანკები კი 200 ათას იხდიდნენ. საბოლოოდ, ამ კლუბებს შორის მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო და მხარეები 250 ათას დოლარზე შეთანხმდნენ (სტეფანიას სლოვენურ გუნდთან კონტრაქტი სამ თვეში უმთავრდებოდა და ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი თავისუფალი აგენტი ხდებოდა).

ქართველი ლეგიონერი უკვე ერთი კვირაა „სიეტლში" ვარჯიშობს და სპეციალისტების აზრით, ახალ გუნდში აკლიმატიზაცია არ უნდა გაუჭირდეს. ნბა-ს წესებით ახალწვეულებთან კლუბები სამწლიან კონტრაქტს აფორმებენ, მათი მინიმალური წლიური ანაზღაურება კი ნახევარი მილიონი დოლარია.



*მარცხნიდან: დენის როდმანი, მაიკლ ჯორდანი და სკოტი პიპენი.*

**თემა განსჯისათვის**

## სწორება ოლიმპიურ კვარცხლბეკზე!

მსოფლიოს სპორტული სამყარო, რომლის შემადგენელი ნაწილი საქართველოს სპორტული მოძრაობაცაა, განვითარება-წინსვლის მუდმივ პროცესშია და მისი დონის განმსაზღვრელი, შორეულ წარსულში და დღესაც საოცარი და უნიკალური მოვლენა ოლიმპიური თამაშებია. სპორტის ცალკეული სახეობები შეუპოვრად მიიწევს ოლიმპიური სარბიელისკენ, რათა თამაშებში ადგილი დაიმკვიდრონ.

სრულიად ბუნებრივია, რომ მოხდა სპორტის სახეობების ერთგვარი კლასიფიკაცია ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებად. არავის, არსად, არასდროს, არც ერთ ქვეყანაში არ გაჩენია იმის სურვილი, რომ ამ კლასიფიკაციის მიხედვით სპორტში დაპირისპირება და განხეთქილება შეეტანა. ეს აბსურდია. სხვათა შორის, არც ის განცხადებები სადმე ვინმეს, არაოლიმპიური სახეობები ოლიმპიურისგან განსხვავებით დისკრიმინაციას განიცდისო. შესაბამისი ფედერაციები ასეთი განსხვავებით არსად არ შეურაცხყოფენ თავს, მათ კარგად იციან რა მოითხოვონ და რა არა, რათა ავტორიტეტი არ შეილახონ. სამწუხაროა, რომ ჩვენში თავს იჩენს გაუგებრობები და არის იმის მცდელობა, რომ სპორტის ის სახეობები, რომლებსაც ოლიმპიური სტატუსი არ გააჩნია, დახაგრულ, სულაც, გერის როლში წარმოადგინონ. ის მოწოდება, რომ ხელი აეღოთ ოლიმპიური თამაშებისთვის სახეობების ხარჯებზე და ისეთ სახეობებს მივხედოთ, რომლებიც მართალია, ოლიმპიური არ არის, მაგრამ მეტად პოპულარულია, მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობიდან მოწყვეტას და ქართული სპორტის თვითმკვლელობის განზრახვის გამოხატვას ნიშნავს. თუმცა, ამით, არც იმის თქმა მინდა, რომ ხელი აეღოთ არაოლიმპიურ სახეობებზე.

ისე, ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ: საქართველოში, ამ პატარა ქვეყანაში სპორტის ძალიან ბევრი სახეობა ითხოვს სახელმწიფო ხარჯზე გამოკვებას და ვერა და ვერ დაისვა კონკრეტულად პრიორიტეტული,

იხ. მე-2 გვ.

## სწორება ოლიმპიურ კვარცხლბეკზე!

*(პირველი გვერდიდან)*

*გნებავთ ქვეყნის სპორტული და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე სპორტის სტანდარტულ სახეობათა დაკონკრეტება. ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენზე მდიდარი ქვეყნები არ აძლევენ თავიანთ თავს უფლებას ჯიბეზე ჩამოიკიდონ 50-60 სპორტის სახეობა, ისე როგორც ეს ჩვენშია.*

*ახლა იმ საკითხის შესახებ, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ ისეთთა მონაწილეობის აზრს ეხება, რომლებსაც მედლის მოპოვების შანსი აქვთ. ეს საკითხისადმი არაპროფესიული მიდგომა გახლავთ. ვინ თქვა, რომ ოლიმპიადები მხოლოდ იმათთვის იმართება, ვისაც მედლის მოპოვება შეუძლია? მაშ, თამაშებში 10 ათასი სპორტსმენის მონაწილეობა რაღა საჭიროა. ოლიმპიური პრინციპი სულ სხვაა და ყველაფერთან ერთად იგი ადამიანის, ამ შემთხვევაში ოლიმპიელის უფლებათა დაცვასაც ითვალისწინებს. მილიონობით სპორტსმენი იბრძვის თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებლად და მხოლოდ 10 ათასი რჩეული მიემგზავრება ოლიმპიადაზე. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენმა ათეულობით და ასეულობით სპორტსმენმა მოიპოვოს ეს უფლება, მედლის დასაკუთრება კი მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია და თუ იქაც გაგვიმართლებს, ხომ კარგი. ერთი რამ ყველამ გულმოდგინებით უნდა დავიხსომოთ, ჩვენ აღარ ვართ საბჭოთა სპორტის ინდუსტრიის დამკვრელური რესპუბლიკა. ეს დრო წარსულში გადაბარგდა. ახალფეხადგმულ სუვერენულ ქვეყანას კი თავისი პრობლემები აქვს. ისიც კარგად უნდა დავიხსომოთ, რომ არის ქვეყნები მსოფლიოში, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებში სიმბოლურად თითო-ოროლა სპორტსმენებით არიან წარმოდგენილნი და თავს ბედნიერად თვლიან, ბედნიერად იმიტომ, რომ ამ უდიდეს ფორუმზე მათი ქვეყნის ალამი ფრიალებს. მაგრამ თამაშებს აქვს საპატიო კვარცხლბეკიც, უფრო ბედნიერია ის ქვეყანა, რომლის წარგზავნილი ამ სანუკვარ სიმაღლეზე ავა და თავისი ქვეყნის ჰიმნის თანხლებით მიიღებს მედალს. ჩვენც ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩვენი სამშობლოს მეტმა ათლეტმა შედგას ფეხი კვარცხლბეკზე...*

**მიმომხილველი**

## დებიუტანტი



### გიორგი ნიკლაური

თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა

***დაიბადა*** 1983 წელს ბაკურიანში
***სიმაღლე*** 150 სმ
***წონა*** 46 კგ.
***ბაკურიანის*** საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეა
***სპორტში*** მეცადინეობს 1994 წლიდან
***მწვრთნელი*** კობა წაქაძე
***„ბაკურიანის პრიზზე“*** დაიკავა II ადგილი
***„ლელოს“*** პრიზის გათამაშების მეორე პრიზიორია.

## ბათუმში დიდი სამზადისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონი საგულდაგულოდ ემზადება მომავალი საფეხბურთო ბატალიებისათვის. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით აქ სამუშაოთა დიდი ფრონტი გაიშალა. შეკეთდა გასახდელები, მსაჯთა ოთახები, სხვა დამხმარე სათავსოები. მინდვრის საფარის გასაუმჯობესებლად შემოზიდეს 250 კუბური მეტრი ფხვიერი მიწა, რომელიც მწვანე მინდორს მოაფინეს, შემდეგ დათესეს ახალი ბალახი, შეიტანეს მინერალური სასუქიც.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ ბათუმელი კორ.

## თხილამურებით ხტომაში ახალი წესებია

ცნობილმა თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელმა კობა წაქაძემ „ლელოს“ ბაკურიანელ კორესპონდენტს აცნობა, რომ საერთაშორისო ფედერაციიდან მიიღო შეტყობინება სპორტის ამ სახეობაში ასპარეზობისას ამიერიდან შეტანილი ცვლილებების შესახებ:

*1. თხილამურის სიგრძე უნდა შეესაბამებოდეს მხტომელის სიმაღლეს;*
*2. კომბინიზონის ქსოვილის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 5 მმ-ს* (ადრე 8 იყო);
*3. ყველა მხტომელმა უნდა ისარგებლოს ფედერაციის მიერ დადგენილი მხოლოდ ერთნაირი საცხით.*

## სავარჯიშო მეხსიერებისათვის

### ცხენოსნობა გვემშვიდობება?



# თაობა, რომელსაც ამ დინამოსი სჯერა

**მიხეილ საბახტარიშვილი**

**ნებისმიერი ქვეყნის ფეხბურთს მხოლოდ კონკრეტული ქვეყნისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებისა და ხასიათის მქონე გულშემატკივარი ჰყავს.**

**გადიოდა წლები, იცვლებოდა თაობები, მაგრამ აგერ უკვე ოთხმოცდაათი წელია, არ შეცვლილა ქართველი კაცის დამოკიდებულება ქართული ფეხბურთისადმი.**

**თუ ადრე ქართველ გულშემატკივართა ზრუნვისა და ქომაგობის საგანი რამდენიმე ქართული კლუბი იყო, ახლა ვითარება შეიცვალა. ქართულ ფეხბურთთან ერთად ქართველი გულშემატკივრებიც უნდა განვითარდნენ. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად დროს ფეხი უნდა ავუწყოთ, ჩამოვაყალიბოთ ჩვენთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, თუ გნებავთ ქომაგთა ქცევის წესები. ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრები ხომ ოდითგანვე გამოირჩეოდნენ რაინდული ქცევით, ფეხბურთის ღრმა ცოდნითა და ობიექტურობით. არც სტადიონების სავსე ტრიბუნები, არც ომახიანი შეძახილები და ყიჟინა იყო ჩვენთვის უცხო. სწორედ მაყურებელზე, გულშემატკივრობის მნიშვნელობაზე და დანიშნულებაზე ვესაუბრეთ თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა ახლახანს ჩამოყალიბებული კავშირის — (ფან კლუბის) პრეზიდენტს ბატონ ზურაბ გუგუშვილს:**

— თბილისის ***„დინამოს“*** გულშემატკივართა კავშირის შექმნის სურვილი ერთი წლის წინ გამიჩნდა. რეგისტრაციაში 1998 წლის 27 ოქტომბერს გავტარდით, ხოლო ფუნქციონირება 5 ნოემბერს დავიწყეთ. საფეხბურთო კლუბ თბილისის ***დინამოს*** გულშემატკივართა ოფისი მდებარეობს გოგებაშვილის №29-ში, კავშირის ანგარიში გახსნილია „ინტელექტბანკში“, ანგარიშის ნომერია 000700883. ორგანიზაციული სტრუქტურა ასეთია: პრეზიდენტი — ზურაბ გუგუშვილი, ვიცე-პრეზიდენტები — ირაკლი ბოძაშვილი და შოთა გელაშვილი, კადრების განყოფილებას ხელმძღვანელობს გიორგი ნიორაძე, აღმასრულებელი მდივანი — ლევან ღამბაშიძე. ოთხნი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ, ერთი კი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია. კავშირში გაწევრიანება შემდეგნაირად ხდება: პიროვნება, რომელსაც სურს ჩვენი კავშირის წევრობა, ავსებს საწევრო ბიულეტენს საკუთარი მონაცემების მითითებით. ავსებს ასევე საფეხბურთო ტესტს. ამით დგინდება მისი სტატუსი. იხდის საწევრო გადასახადს, რის შემდეგაც ოფიციალურად ფორმდება კავშირის წევრად. კავშირს აქვს თავისი წესდება და შინაგანაწესი.

ჩვენი კავშირის უპირველესი მიზანია, საქართველოში ერთიანი საგულშემატკივრო საზოგადოების ჩამოყალიბება, მისი ეთიკური და კულტურული დონის ამაღლება, ქართული ფეხბურთის ფიზიკური და მორალური მხარდაჭერა, რადგან, როგორც ყველა ცივილიზებულ საზღვარგარეთულ კლუბს, ისე ქართულ გუნდებსაც სჭირდებათ გულშემატკივრების აქტიური მხარდაჭერა და თანადგომა, რაც დიდ სტიმულს აძლევს გუნდს და მოუწოდებს თითოეულ ფეხბურთელს ლამაზი და სანახაობრივი ფეხბურთის ჩვენებისაკენ. ქართული ხასიათის დადებითი თვისებების წარმოჩენა უცხოეთში, თბილისის ***დინამოს*** პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ანალოგიურ საგულშემატკივრო ორგანიზაციებთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობების დამყარება. თბილისის ***დინამოს*** პრეზიდენტის რომან შოთაძის დახმარების შემდეგ კლუბის ემბლემით გამოვუშვით ქუდები და შარფები, მეორე წრის დასაწყისში გამოვუშვებთ ***დინამოს*** ფერებიან მაისურებს. თანდათან გავზრდით სუვენირების ასორტიმენტს. გვსურს გაზეთის განახლება. შევქმნით ***დინამოს*** ვიდეოთეკას, სადაც აისახება კლუბისა და ცალკეული ფეხბურთელების საუკეთესო თამაშები. ჩამოვაყალიბებთ ***დინამოს*** სპორტულ ბიბლიოთეკას.

რამდენიმე დღის წინ დასრულდა ***დინამოს*** ეგიდით გამართული პირველი ტურნირი მინი ფეხბურთში, მასში 13 მოყვარული კლუბი მონაწილეობდა. ***დინამოს*** თასის გათამაშება შემდგომში ტრადიციული გახდება. დაგეგმილია სხვადასხვა ასაკში მოვაწყოთ ბავშვთა ტურნირები. ყველაფრის გაკეთებას ვერ მოვახერხებდით, რომ არა მჭიდრო, ყოველდღიური ურთიერთობა ***დინამოს*** ხელმძღვანელებთან. მერაბ ჟორდანია და რომან შოთაძე გვეხმარებოდნენ ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტაში. მხარდაჭერისათვის გვინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადოთ. ვიმეორებთ ბატონ მერაბ ჟორდანიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევა, რასაც მას სულითა და გულით ვულოცავთ, ჩვენს ურთიერთობას სფფ-სთან უფრო მჭიდროს და ურთიერთ სასარგებლოს გახდის. ვეცდებით დროთა განმავლობაში ***დინამოს*** გულშემატკივართა კავშირის მოღვაწეობა უფრო და უფრო გავაფართოვოთ.

**რომან შოთაძე** (თბილისის ***დინამოს*** პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი): როცა ამ ახალგაზრდა ბიჭებს ვუყურებ, ვხვდები, რომ მათ ენთუზიაზმს მხოლოდ დადებითი შედეგის გამოღება შეუძლია. ისინი ჩვენი დიდი ოჯახის, თბილისის ***დინამოს*** ღირსეული წევრები არიან.

გაწევრიანების მსურველთ ვთავაზობთ ***დინამოს*** ფან-კლუბის კოორდინატებს: თბილისი, გოგებაშვილის 29, ტელ.: 23-31-68, **E-Mail: DINAMO TB. FANCLUB @ ZDNETMAIL.**

***რედაქციისაგან:*** *პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ალბათ ქართული ფეხბურთის ფლაგმანის გულშემატკივრებს უნდა გადაედგათ და გადადგესკიდეც. ჯერი თქვენზეა ქუთათურებო, ბათუმელებო, ფოთელებო, ზუგდიდელებო, ბოლნისელებო, გორელებო და სხვა კლუბის ქომაგებო...*



***ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა***

# ქართული ფეხბურთის ამბები

## სფფ 140 ათასი ლარით დაეხმარება კლუბებს, მაგრამ ჯერ მათ ფედერაციის ვალი, 37 ათასი უნდა გადაიხადონ

*(პირველი გვერდიდან)*

მეორე წრის პირველი მატჩის წინ მოისურვოს თანხის გადახდა, მაგრამ დრო აღარ ეყოს ფინანსური ოპერაციის განსახორციელებლად, მიიღება თუ არა მხედველობაში ე.წ. საგარანტიო წერილები? არანაირი საგარანტიო წერილები — გვითხრეს ფედერაციაში. ვისაც იმ დღეს სურს გადაიხადოს ვალი და სამსაჯო თანხა, მას შეუძლია იგი ნაღდ ანგარიშზე შეიტანოს ან ფეხბურთის ფედერაციაში ან ადგილზე ბანკში, ოღონდ, სფფ-ს ანგარიშზე ქვითარი წარუდგინოს კომისარს, სულაც, უკიდურეს შემთხვევაში, ადგილზე მატჩის დაწყების წინ გადასცენ ფედერაციიდან მოვლენილ კომისარს, რომელიც მეორე დღესვე შეიტანს ამ თანხას ფეხბურთის ფედერაციის სალაროში. როგორც ხედავთ, ძველი წესი, როცა მსაჯებს მასპინძლები უნაზღაურებდნენ გასამრჯელოს, შეიცვალა. ყველაფერზე პასუხისმგებლობას იღებს ფედერაცია, რაც, როგორც ნავარაუდევია, გამორიცხავს გაუგებრობებს და გარიგებებს, რაც ასე ვნებდა ჩვენს ფეხბურთს და ჩრდილს აყენებდა ჩემპიონატს.

ფეხბურთის ფედერაციაში ამ დღეებში გრძელდება შეხვედრები კლუბების პრეზიდენტებთან. ეს ის შემთხვევაა, როცა პრობლემები არა ცალმხრივად, არამედ ორივე დაინტერესებული მხარის აზრების შეჯერებით და კონსესუსით განიხილება. კლუბების პრეზიდენტები მიესალმებიან ასეთ პოზიციას, ბოლო დროს ატეხილი ფინანსური აურზაური კი თურმე საფუძვლიანი სულაც არ ყოფილა — გახსოვთ ალბათ, დაირხა ხმები თითქოს კლუბებისგან, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გამოდიან, სფფ 200 ათას ლარს ითხოვდა თითოეულისგან. როგორც ირკვევა, ეს თანხა არავის მოუთხოვია და არც ითხოვს — ლაპარაკია თითოეული კლუბის საწესდებო ფონდზე ანუ ქონების საერთო ღირებულებაზე, რომელიც თურმე შეიძლება სულაც არ იყოს ფულადი თანხა, უბრალოდ, ქონებაა გამოხატული ფულად მოცულობაში, ქონება კი შეიძლება იყოს ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი, თუნდაც ფული საბანკო ანგარიშზე და ა.შ. მაგრამ, რაც მთავარია, დაკანონებული არც ეს ყოფილა, თურმე პროექტის სახით შეუთავაზებიათ კლუბებისთვის, საბოლოო გადაწყვეტილება კი ჯერ მისაღებია. სავარაუდოა, ამ მოთხოვნას კლუბები დათანხმდებიან, რადგან მათი პრეზიდენტები აცხადებენ, რომ კლუბის მატერიალური ბაზისთვის 200 ათასის ქონება მინიმალურია და სულაც არაა კაბალური.

## 18 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის 2000 წლის პირველობა და ჩვენ

გაიმართა 18 წლამდე ფეხბურთელებისთვის 2000 წლის ევროპის პირველობის შესარჩევი ეტაპის ჯგუფური ტურნირის მატჩების წილისყრა. თავიდან დიდი დავა გამოიწვია სად ჩატარდებოდა VIII შესარჩევი ჯგუფის ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრები მოხვდა. ოთხივე მონაწილემ იტალიამ, შვეიცარიამ, უელსმა და საქართველომ სურვილი გამოთქვა თავის ქვეყანაში ჩაეტარებინა ეს ტურნირი. დიდი დავის შემდეგ იტალიამ და შვეიცარიამ უელსის სასარგებლოდ მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა და ჩვენები ავტომატურად აღმოჩნდნენ უმცირესობაში. ასე რომ, შემოდგომაზე მატჩები უელსში გაიმართება. გთავაზობთ შეხვედრების კალენდარს:

**20 სექტემბერი.**
იტალია – შვეიცარია; საქართველო – უელსი
**22 სექტემბერი.**
იტალია – საქართველო; შვეიცარია – უელსი
**24 სექტემბერი.**
უელსი – იტალია; შვეიცარია – საქართველო.

აქვე შეგახსენებთ, რომ 18 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის მიმდინარე პირველობაში ჩვენებს, ჯგუფური ტურნირის წარმატებით გავლის შემდეგ ჩასატარებელი დარჩათ მატჩი ჩეხებთან, რის შემდეგ გადაწყდება ამ ორი გუნდიდან რომელი იასპარეზებს ფინალურ ტურნირში.

ჩეხებთან პირველ შეხვედრას ჩვენი ნაკრები სტუმრად ჩაატარებს 21 აპრილს, 10 მაისს კი საპასუხო შეხვედრა საქართველოში გაიმართება.

## სამი ათასი აბონემენტი ნაღდ გულშემატკივარს

სფფ-ში უკვე მზადაა შთამბეჭდავი დიზაინით შესრულებული საფეხბურთო აბონემენტის ესკიზი და სულ მალე იგი სტამბური წესით დაიბეჭდება მხოლოდ სამი ათასი ცალის ოდენობით. აბონემენტში შევა ხუთი საერთაშორისო მატჩი, რომელიც თბილისში ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება წლეულს. ამ მატჩებიდან ერთი — საქართველო — უკრაინა ამხანაგურია, დანარჩენები ევროპის ჩემპიონატისაა — საქართველო — სლოვენია, საქართველო — ნორვეგია, საქართველო — საბერძნეთი, საქართველო — ლატვია.

ცხადია, აბონემენტებზე საუკეთესო ადგილებია გამოყოფილი, ამასთან, როგორც გვითხრეს, ფასიც გაცილებით ხელმისაწვდომი იქნება ადრინდელთან შედარებით. წინასწარი გაანგარიშებით გულშემატკივარს ზემოხსენებულ მატჩებზე ბილეთებით დასწრება უფრო ძვირი დაუჯდება. აბონემენტის ერთი ღირსება ისიცაა, რომ გულშემატკივარს იგი სუვენირად დარჩება.

## დსთ-ს ქვეყნების ფეხბურთის მამებს ბლატერი მოსკოვში შეხვდება

როგორც ცნობილია, 23 იანვარს მოსკოვში იწყება „თანამეგობრობა-99" თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიაც თბილისის „დინამო-2" მონაწილეობს. 24 იანვარს სასტუმრო „კოსმოსის" საკონფერენციო დარბაზში ფიფას პრეზიდენტი იოზეპ ბლატერი შეხვდება თანამეგობრობის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელებს. საქართველოდან ამ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია.

## „ქართული ფეხბურთი" – სფფ-ს 64-გვერდიანი ბიულეტენი

IV ყრილობის შემდგომ განვლილ მცირე პერიოდში, სფფ-მ ყრილობის კიდევ ერთი გადაწყვეტილება აქცია რეალობად – ნაცვლად ფედერაციის ყოველკვირეული საფეხბურთო გაზეთისა, ამიერიდან გამოვა იმავე სახელწოდების ყოველთვიური ბიულეტენი. ამ გამოცემის პირველი ნომერი უკვე უფასოდ მიიღეს ჩვენმა საფეხბურთო ორგანიზაციებმა, რაც ხაზს უსვამს ბიულეტენის დანიშნულებას. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოს საფეხბურთო სამყაროს დიდ დაინტერესებას (გულშემატკივრების ჩათვლით) ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში მიმდინარე პროცესებისადმი, ურიგო არ იქნებოდა ბიულეტენი ფართო მკითხველისთვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ცხადია, შესაბამისი საფასურით, რაც გამოცემის ხარჯებსაც დაფარავდა თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც.

ზემოაღნიშნული ნომერი ეტყობა დინჯად, ჟურნალისტებისა და ფედერაციის ფუნქციონირების ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა, რაც აშკარად ემჩნევა ბიულეტენის მრავალფეროვან შინაარსს. სფფ-ს ბიულეტენის გამო-




ცემის დაწყებას ულოცავენ ფიფას პრეზიდენტი იოზეპ ბლატერი და უეფას თავკაცი ლენარტ იუჰანსონი, სხვა ორგანიზაციები და გამოცემები.

„საუბარი იმაზე, რომ ფედერაცია „ქართულ ფეხბურთს" აუქმებსო, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. *ფედერაციის ახალმა შემადგენლობამ „ქართული ფეხბურთი" კი არ გააუქმა, არამედ ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩააყენა და აწი ასეც იქნება"* – ვკითხულობთ სარედაქციო წერილში. იქვე ნათქვამია ისიც, რომ გამოქვეყნდება პროფესიული წერილები, რომლებიც გამოადგება ფეხბურთელებს, მსაჯებს, ექიმებს, ფუნქციონერებს... ამასთან, ბიულეტენი გადაბეჭდავს თვის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნებულ ყველაზე საუკეთესო საფეხბურთო მასალას, წლის ბოლოს კი სფფ საუკეთესო ჟურნალისტს „ოქროს კალმით" დააჯილდოებს.

„ჩვენ დითირამბებს არავის ვთხოვთ, პირიქით, ყველა ჟურნალისტს უმორჩილესად გევედრებით გვაკრიტიკეთ, რამეთუ სალ კრიტიკას ჯერ ზიანი არავისთვის მოუტანია და სფფ მხოლოდ მიესალმება ამას. მაგრამ კრიტიკა თვითმიზანი არ უნდა გახდეს, კრიტიკა პროფესიული უნდა იყოს და ქართულ ფეხბურთს წაადგეს" – ასე აფიქსირებს სფფ თავის პოზიციას ბიულეტენში.

ეს გამოცემა ნამდვილად იმსახურებს საერთო ყურადღებას და რა სამწუხაროა, რომ მისი ტირაჟი სულ 300 ცალი ყოფილა.

## ქართველებისთვის ლანდივით გამქრალი ტაილანდი

ვიტყობინებოდით, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში უნდა გამგზავრებულიყო ტრადიციულ ოთხთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის. საქმე მხოლოდ იმაზე იყო, მასპინძლებს გამოსაგზავნი ჰქონდათ ჩვენი მეტოქეების ვინაობა. ვითარება შეიცვალა — ფინანსური პრობლემების გამო ტურნირი მაის-ივნისისთვის გადაუტანიათ, რაც ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებს ხელს არ აძლევთ — ამ პერიოდში გუნდს გადატვირთული კალენდარი აქვს. ასე რომ, ვლადიმერ გუცაევი, ალბათ, აზიელებს უარს შეუთვლის და ქართველების ნაცვლად „სამეფო თასზე" სათამაშოდ სხვა ნაკრები გაემგზავრება.

## „ქინქლაძე ანსამბლში ვერ ეწერება"

ასე განაცხადა ამსტერდამის „აიაქსის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა იან ვოუტერსმა. ქართველი ფეხბურ-



თელი, როგორც ცნობილია, 8 მილიონ 200 ათასი დოლარის ფასად „აიაქსმა" „მანჩესტერ სიტისაგან" შეიძინა. მაშინ ჰოლანდიურ კლუბს დანიელი მორტენ ოლსენი წვრთნიდა, კონტრაქტი კი 2003 წლამდე გაფორმდა. ახალი მწვრთნელი თვლის, რომ ქინქლაძე ზედმეტად ინდივიდუალურად მოქმედებს და ამდენად, კლუბისთვის სარგებლობა არ მოაქვს.

ახლა ქინქლაძე „ტრანსფერ-ლისტზეა" გამოცხადებული. მისი შეძენის მსურველმა 7 მილიონ 200 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს.

## ზანგი ფეხბურთელის მეორედ მოსვლა

დიახ, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ზანგი ფეხბურთელი ითამაშებს, იგი კვლავ ნიგერიელი იქნება. გახსოვთ ალბათ, შარშანწინ აფრიკის ამ ქვეყნიდან „სამტრედიაში" სათამაშოდ ჩამოვიდა ბარი სალამი, მაგრამ მას ფეხბურთელობისა არაფერი ეტყობოდა — კარგი სმა-ჭამის მოყვარული სულ მალე ისე „ჩაკუპატდა", მისი გამოყვანა მინდორზე, უბრალოდ, სასაცილოც კი იქნებოდა. ამიტომ იგი სამშობლოში გააბრუნეს.

ამ დღეებში ახალი ამბავი შევიტყვეთ — ბათუმის „დინამოს" ხელმძღვანელებს ნიგერიის ახალგაზრდული ნაკრებისა და შინაური ჩემპიონატის პრიზიორის „კვა იუნატედის" შემტევი ნახევარმცველი ჩამოუყვანიათ. რამდენად მოერგება იგი შავიზღვისპირელთა გუნდს, მალე გავიგებთ.

## ქართველი „შავოსანი" მეგობრობის თასს ნელსაც მოემსახურება

„თანამეგობრობის" თასზე, მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის მატჩების სამსაჯოდ ტრადიციულად იწვევენ ქართველ არბიტრებს. წელს ეს მისია ზუგდიდელ სერგო კვარაცხელიას ერგო.

## გენერლობაზეც ხომ უნდა იფიქრო

ავთანდილ ნებიერიძე ქართულ ფეხბურთში გამორჩეული ფიგურაა: დაუღალავი მშრომელი ადამიანია, არაერთი ახალგაზრდა მოთამაშის, განსაკუთრებით მეკარეების (აკაკი დევაძე, ზურაბ ბათიაშვილი და სხვ.) აღმზრდელია. ეგაა მხოლოდ, როცა მის თანამდებობას მოიხსენიებენ, სიტყვა „თანაშემწეს" ამატებენ — ასე იყო მარნეულის „ალგეთში", თბილისის „შევარდენი-1906"-ში, თსუ-ში. როგორც [illegible]

ნერლობაც" განიზრახა: იგი სათავეში ჩაუდგა ზესტაფონის „მარგვეთს" მეორე ჯგუფიდან პირველში რომ ლამობს გადასვლას.

## ძმებს „რკინიგზელობა" სურთ

ჯერ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ძმები გიორგი და ვარლამ კილასონიები თბილისის „ლოკომოტივის" ღირსებას დაიცავენ. ისინი მეორე კვირაა თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ და მიუხედავად იმისა, სხვა გუნდებიც ეპატიჟებოდნენ, რუსთავის „მეტალურგზე" გულაყრილებმა „რკინიგზელობა" განიზრახეს.

## „ვიტ-ჯორჯია" „არმაზს" დაეპატრონა

ქართული საფეხბურთო გუნდებს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისათვის სამზადისში არიან და ერთმანეთს სპარინგ-პარტნიორობას გაუწევენ. გთავაზობთ ჩასატარებელი მატჩების კალენდარს:

*23 და 27 იანვარი.* „დინამო" — „ვიტ-ჯორჯია".
*26 იანვარი.* „მერანი-91" — „ცხუმი".
*28 იანვარი.* „მერანი-91" — „მრეტები".
*30 იანვარი.* „მერანი-91" — „სიონი".
*31 იანვარი.* „ვიტ ჯორჯია" — „მრეტები".

აქვე გაცნობებთ, რომ „ვიტ-ჯორჯიამ" მცხეთის „არმაზის" სტადიონი დაისაკუთრა. ამრიგად, „ლოკომოტივსა" და თსუ-ს ამიერიდან კალენდარული მატჩების გასამართავად სხვა სარბიელის მოძებნა მოუწევთ.

P.S. შევიტყვეთ, რომ თსუ „არსენალს" შეუამხანაგდა და საშინაო მატჩებს ისინის სტადიონზე გამართავს.

## მინუს 7, პლუს 6

წყალტუბოს „სამგურალის" მთავარ მწვრთნელს გაიოზ დარსაძეს მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე დიდი სამუშაო ელის — ფაქტობრივად, ახალი გუნდი უნდა ჩამოაყალიბოს. მისი განცხადებით, გუნდიდან გაუშვეს ძირითადი შემადგენლობის 7 ფეხბურთელი. ნაწილმა ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, ზოგიერთმა კი სხვა კლუბს მიმართა. ახლა „სამგურალში" 6 ახალწვეულია: ნოზაძე (ფოთის „კოლხეთი-1913"), ვოსკანოვი (დაბრუნდა ბელარუსიდან), ენდელაძე და გოჩაძე (ზუგდიდის „ოდიში"), ახალაძე („ლოკომოტივი"),



ნოზაძე ამიერიდან „სამგურალში" ითამაშებს

პეტრიაშვილი („ვიტ-ჯორჯია"). წყალტუბოელები საწვრთნელ შეკრებას თბილისში გადიან.

## პრეზიდენტმა პრეზიდენტი მოინახულა

ორიოდე კვირაა ჩვენს საფეხბურთო სამყაროში ხმა გავრცელდა — ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტი მიხეილ ქორქია გულის შეტევით საავადმყოფოში დააწვინესო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და გუშინწინ იგი ექიმებმა „დაითხოვეს". მანამდე კი ქუთათურთა გუნდის თავკაცი სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ მოინახულა. პრეზიდენტების შეხვედრა მეტად გულთბილი გამოვიდა.

## იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა





# „იები“ და მაესტრო ტრაპატონი პირველი წრის შემდეგ

იმ ხუთი ძირითადი ევროპული ეროვნული ჩემპიონატიდან, რომელიც შეუნელებელ ინტერესს იწვევს ფეხბურთის მთელ სამყაროში, იტალიის „სერია A“-ში, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს. წინაპირველობაზე ჩემპიონობისათვის რეალურად მხოლოდ „იუვენტუსი“ და „ინტერი“ იბრძოდა, ახლა კი „სკუდეტოს“ მაძიებელთა რიცხვი, სამჯერ გაიზარდა! ექვსი პრეტენდენტი კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ტურს თავისი განსაკუთრებული ხიბლი აქვს. თუ ამას დავუმატებთ იმ ამბავს, რომ „სერია A“-ში აუტსაიდერის ცნება სრულიად პირობითია, რომ ბოლო ადგილზე მყოფ გუნდსაც კი შეუძლია ლიდერს შეუპოვარი ბრძოლა გაუმართოს, გასაგებია, რატომ ჰყავს მატჩებს ამდენი მაყურებელი. და კიდევ ერთი – გუნდების უმეტესობა, რაც იტალიისათვის არ არის მაინცდამაინც დამახასიათებელი, აშკარა შემტევი, აგრესიული სტილით თამაშობს და ბევრი გოლიც გადის.

ახლა, როცა დამთავრდა ჩემპიონატის პირველი წრე, მიმომხილველებს სერიოზული დასკვნების გამოტანის საშულება აქვთ. საინტერესოა, რომ ამ ქვეყნის პირველობას უკვე უცხოეთის ყველა დიდი სააგენტოს წარმომადგენლებიც აშუქებენ.

35 ქულით პირველ ადგილზეა „ფიორენტინა“, კლუბი, რომელიც წინა ჩემპიონატში მაინცდამაინც არაფრით გამოირჩეოდა. სეზონის დასაწყისში ექსპერტებს ძალიან აინტერესებდათ, როგორ მოუვლიდა „იებს“ გერმანიიდან დაბრუნებული განთქმული „მებაღე“, მაესტრო ჯოვანი ტრაპატონი. ბოლო სეზონებში ხომ მას მაინცდამაინც, ბედი არ სწყალობდა. რა თქმა უნდა, „იუვენტუსი“ და „მილანი“ ფინანსური თვალსაზრისით უფრო მძლავრი კლუბებია, ხომ არ იმოქმედებდა ეს ფაქტორი ესოდენ ხანგრძლივი სეზონის განმავლობაში?! სტატისტიკოსებმა ყურადღება მიაქციეს ერთ თავისებურ გარემოებას: „ფიორენტინა“, როგორც გაიხსენეს პირველ წრეს იგებდა დაახლოებით 20 წელიწადში ერთხელ. ასე მომხდარა 1934 წელს, იგივე გამეორებულა 1955 წელს, როცა „სკუადრა ვიოლა“ ჩემპიონიც გახდა. 1981 წელს „ფიორენტინამ“ „რომასთან“ ერთად გაიმარჯვა პირველ წრეში და ახლაც იგივე შეძლო! მართალია, მეთექვსმეტე ტურში ლიდერმა პრინციპული მატჩი დათმო 0-2 რომში „ლაციოსთან“, რის შემდეგ მას „პარმამ“ გადაასწრო ბურთების უკეთესი სხვაობით, მაგრამ პირველი წრის უკანასკნელმა, მეჩვიდმეტე ტურმა კვლავ შეცვალა სიტუაცია. გუნდის დიდ, თუმცა ჯერჯერობით დროებით წარმატებაში დიდი როლი შეასრულა მაესტრო ტრაპატონიმ, რომელიც იტალიურ ლიგაში, გერმანული ბუნდესლიგისაგან განსხვავებით, ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. გუნდი თანაბრადაა დაკომპლექტებული, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მაინც გამოჰყოფენ ორ მოთამაშეს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის, თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა, რომელმაც უკვე გაიტანა 17 ბურთი და თუ რაიმე ძალზე მოულოდნელი ამბავი არ მოხდა, წლეულს „სერია A“-ს პირველი სნაიპერის პრიზს უნდა დაეუფლოს. მეორე გახლავთ „ფიორენტინაში“ ამ სეზონში „იუვენტუსიდან“ გადასული ცნობილი მცველი მორენო ტორიჩელი. თურმე ნუ იტყვით, ექსპერტების დაკვირვებით, ის კლუბი, სადაც ტორიჩელი თამაშობს, აუცილებლად უნდა გახდეს... ჩემპიონი! ვნახოთ, წლეულს თუ გამართლდება ეს წინასწარმეტყველება.

ცხადია, „ფიორენტინას“ მეპატრონე, იტალიაში ცნობილი ტელემაგნატი ვიტორიო ჩეკი გორი ძალზე კმაყოფილია. ლიდერის წამყვანი მდგომარეობა უახლოეს ტურებში თითქოს არც უნდა შეიცვალოს. მომდევნო, მეთვრამეტე ტური 24 იანვარს უნდა გაიმართოს და „ფიორენტინა“ სტუმრად თამაშობს „ემპოლისთან“, 31 იანვარს კი საკუთარ სტადიონზე „ვიჩენცას“ მიიღებს. ორივე ეს მეტოქე, არც ისე ძლიერია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ხომ იტალიის ლიგაა!

ახლა „პარმასა“ და „ლაციოს“ 32-32 ქულა აქვთ. „პარმა“, რომლის შემადგენლობაში არაერთი ჩინებული ოსტატია, თავდასხმის დუეტი (კრესპო – კიეზა) კი ერთად შედეგიანად თამაშობს, მთელი პირველი წრის მანძილზე მძლავრად მოქმედებდა, მაგრამ სწორედ უკანასკნელ ტურში, რომ იტყვიან, ცივი წყალი გადაესხა და ისიც საკუთარ მინდორზე – 1-3 „ლაციოსთან“. ასეთი პრინციპული მატჩის წაგებას ყოველთვის მძიმე ფსიქოლოგიური შედეგები მოჰყვება ხოლმე, ვნახოთ როგორ გადაიტანს ამას „პარმა“, რომელიც მომდევნო ტურებში ჯერ „ვიჩენცას“, ხოლო შემდეგ შინ „ვენეციას“ მიიღებს, ესეც ბედია, რომ ახლა მას რომელიმე გრანდი არა ხვდება. „ლაციოს“ მართლაც რომ საჩემპიონო შემადგენლობა ჰყავს. ჩილელმა მარსელო სალასმა, რომელიც სულ მალე შეეწყო ახალ გუნდს, დაამტკიცა, რომ იგი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია. ახლა ვეტერან რობერტო მანჩინის ნამდვილად არტისტულ თამაშს არ იტყვით! შვედი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი მეტოქეებს სხვადასხვა სიურპრიზს სთავაზობს, პირველ ადგილს უმიზნებს. უახლოეს შეხვედრებს „ლაციო“ ჯერ შინ „პიაჩენცასთან“ ჩაატარებს, შემდეგ კი ქ. ბარისაკენ აიღებს გეზს.

30 ქულით მეოთხე ადგილზეა „მილანი“, რომელსაც თავისი საქმის დიდი მცოდნე ალბერტო ზაკერონი წარმართავს. როცა იგი „უდინეზედან“ „მილანში“ გადავიდა, თან წაიყვანა განთქმული ბირჰოფი. გერმანელი განაგრძობს გოლების გატანას, „მილანი“ წინა სეზონზე გაცილებით უკეთ გამოიყურება, თუმცა, როგორც მისი პრეზიდენტი ბერლუსკონი აცხადებს, წლეულს კლუბის წინაშე სულაც არ არის დასმული ჩემპიონობის მოპოვების ამოცანა. ამას ბერლუსკონი, თუ დავუჯერებთ, გაისისთვის აპირებს. ახლა კვირას „მილანი“ გასვლით მატჩს ატარებს ფრიად სახიფათო „ბოლონიასთან“, ხოლო შემდეგ აუტსაიდერ „სალერნიტანას“ მიიღებს.



27-27 ქულით მომდევნო ადგილებს იყოფენ „ინტერი“, რომელმაც ბოლო შეხვედრა საკმაოდ მოულოდნელად წააგო 0-2 „ბოლონიასთან“ და „რომა“. მირჩა ლუჩესკუ ვარსკვლავებით სავსე „ინტერში“ ჯერ ვერაფერს ხდება, „რომა“ ჩინებულად თამაშობს თავდასხმაში, მაგრამ დაცვა აშკარად ღალატობს. ზდენეკ ზემანის მთავარი ამოცანაც სწორედ ეს იქნება. „ინტერის“ უახლოესი მეტოქეებია „კალიარი“ და „პიაჩენცა“, „რომა“ კი ჯერ სტუმრად „სალენიტანას“, ხოლო შემდეგ „ემპოლის“ ხვდება.

ახლა სრულიად განიარაღებულად გამოიყურება ჩემპიონი (შესაძლოა, უკვე ექს-ჩემპიონი) „იუვენტუსი“. მას 6 მოგება, 5 ფრე და 6 წაგება აქვს, მხოლოდ 23 ქულა. მის მარცხზე, ეტყობა, რამდენიმე ფაქტორმა იმოქმედა. ერთია ალესანდრო დელ პიეროს უმძიმესი ტრავმა, მეორე – ზინედინ ზიდანის აშკარა გადაღლა, კიდევ ერთი ის, რომ მწვრთნელი მარჩელო ლიპი ამ სეზონიდან კლუბს ეთხოვება და ამდენად „საჩემოდანო განწყობილება“ აქვს.

ისე კი, ცხადია, ძირითადი ბრძოლა წინ არის და ბევრი რამ საინეტერესო მოგველის.

**ბივი ბამრეკელი**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### სავიჩევიჩი ეთხოვება „მილანს“

„მილანის“ პოპულარული ნახევარმცველი დეიან სავიჩევიჩი უახლოეს დღეებში ხელშეკრულებას გააფორმებს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“. იუგოსლავი, რომელიც ტრავმებმა გააწამეს, უკანასკნელ ხანებში გუნდის ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდებოდა და ამიტომაც იძულებული გახდა დაეტოვებინა პოპულარული კლუბი. სავიჩევიჩი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 52 მატჩი აქვს ჩატარებული, ადრე უკვე თამაშობდა „ცრვენა ზვეზდაში“, მის შემადგენლობაში 1991 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. 1998 წელს იგი საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, მაგრამ სუსტი მზადყოფნის გამო ძირითადად სათადარიგოთა შორის ყოფნა უხდებოდა. ამის მიუხედავად, „ცრვენა ზვეზდას“ ტექნიკური დირექტორი, წარსულში განთქმული თავდამსხმელი დრაგან ჯაიჩი თვლის, რომ მრავალნაცადი სავიჩევიჩი მაინც უნდა გამოადგეს გუნდს, რომელიც ახლა იუგოსლავიის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა და ლიდერს — ბელგრადის „პარტიზანს“ მთელი 12 ქულით ჩამორჩება.

### ბაია სამშობლოში დაბრუნდა

„ბარსელონასა“ და პორტუგალიის ნაკრების მეკარე ვიტორ ბაიას კატალონურ კლუბთან კონტრაქტი 2004 წლამდე აქვს, მაგრამ მწვრთნელ ლუის ვან გაალს იგი პრაქტიკულად სათამაშოდ თითქმის არასოდეს გამოჰყავდა, რაც ფეხბურთელის აღშფოთებას იწვევდა.

ახლა მეკარე 2000 წლამდე იჯარით თავისი ქვეყნის ცნობილ კლუბ „პორტუს“ ათხოვეს, შემდეგ კი, ვნახოთ...

### „რა მსახიობი იკარგებოდა!“

ამ დღეებში 10 მილიონმა გერმანელმა ტელემაყურებელმა სრულიად უჩვეულო სანახაობა იხილა. ყოფილმა ბუნდესტრენერმა ბერტი ფოგტსმა მონაწილეობა მიიღო პოპულარულ ტელესერიალში, რომელსაც „სიხარბე“ ჰქვია. ცნობილმა მწვრთნელმა ერთ-ერთ კრიმინალურ სცენაში შეასრულა ბოროტმოქმედის როლი და იმდენად დამაჯერებლად, რომ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მას შემდეგ, რაც ფოგტსი სასტიკად გაუსწორდა თავის ერთ-ერთ მსხვერპლს, რეჟისორმა აღნიშნა მისი სამსახიობო ნიჭი და თქვა, რომ ასეთი ტალანტი სულ ტყუილად იკარგებოდა. მან ფოგტსს წინადადება მისცა, უფრო ხშირად გამოვიდეს ეკრანზე. სტატისტიკოსების ცნობით, ამ სერიალში „სიხარბემ“ რეიტინგში ორჯერ გადააჭარბა ფილმ „გრაფ მონტე-კრისტოს“, თუმცა იქ მთავარ როლს განთქმული ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე ასრულებდა.



### ახალი სამწლიანი კონტრაქტი ილგნერთან

მადრიდის „რეალმა“ გერმანელ მეკარე ბოდო ილგნერთან ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გაიზარდა მისი გასამრჯელო, რომელიც ამიერიდან წელიწადში 450 ათასი დოლარი იქნება. მადრიდში თამაშისას ილგნერმა უკვე მიიღო 1,1 მილიონი დოლარი. მისთვის ხელფასის გაზრდა პრეზიდენტ ლორენსო სანსს არ უნდოდა, მაგრამ მეკარის საიმედო თამაშმა აიძულა იგი დაეთმო.

### „ბარსელონა“ ჰოლანდიელთა კლუბია

ამსტერდამის „აიაქსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელებმა, განთქმულმა ტყუპმა ძმებმა ფრანკ და რონალდ ბურებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს „ბარსელონასთან“. ფრანკის (მას ჰოლანდიის ნაკრებში 65 მატჩი აქვს ჩატარებული) კონტრაქტი 11 მილიონი დოლარი ღირს, რონალდისა კი (48 მატჩი ნაკრებში). 10 მილიონი. ძმები უკვე ჩავიდნენ „ბარსელონას“ საწვრთნელ ბაზაზე. ახლა კატალონური კლუბის შემადგენლობაში უკვე 6 ჰოლანდიელია: ძმები ბურები, მეკარე ჰესპი, ნახევარმცველები ზენდენი, კოკუ და მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი.



### არა, სალასი არ დაისაჯა

მარსელო სალასი, ცნობილი ჩილელი ოსტატი, რომელიც ახლა რომის „ლაციოში“ თამაშობს, შეიყვანეს იმ 14 ფეხბურთელის სიაში, რომლებმაც შარშან იტალიაში დოპინგი გამოიყენეს. საქმე ის არის, რომ სადოპინგო გასინჯვამ, როგორც ამბობენ, დადებითი შედეგი უჩვენა. „ლაციოს“ ექიმებმა სალასს, რათა მისთვის მარცხენა კოჭზე ტკივილი შეეჩერებინათ (ტრავმა კი „ინტერის“ მცველმა კოლონეზემ მიაყენა), სხვადასხვა მედიკამენტი გამოუწერეს. მათ შორის იყო ისეთიც, რომელიც ლიდოკაინს შეიცავდა. ჩილელი ფეხბურთელი არ დაისჯება, რადგან ლიდოკაინის კვალი, ტესტებში ცდების დროს რომ დადასტურდა, მიეკუთვნება იმ პრეპარატს, რომელიც „ლაციოს“ სამედიცინო დეპარტამენტმა ოფიციალურად შეიტანა გამოყენებულ წამლების სიაში.

ერთ-ერთი სადოპინგო ცდისას აღმოაჩინეს მარიხუანა, რომლის გამოყენებისათვის დაისაჯა „პერუჯას“ ნახევარმცველი სერჯიო კამპოლო.

### ესნაიდერი „იუვენტუსში“ ითამაშებს

25 წლის არგენტინელმა ფეხბურთელმა ხუან ესნაიდერმა, რომელიც ბარსელონის „ესპანიოლში“ თამაშობდა, ხელი მოაწერა კონტრაქტს ტურინის „იუვენტუსთან“ 2003 წლის ივლისამდე. ეს იმის მიუხედავად მოხდა, რომ მას ვიგოს „სელტა“ მეტ თანხას სთავაზობდა. „ესპანიოლი“ დაახლოებით 7 მილიონ დოლარს მიიღებს და ამით შეეცდება „ბოკა ხუნიორსის“ ნახევარმცველ დიეგო კანის შეძენას.

ესნაიდერმა თავისი კარიერა არგენტინულ „ფერო კარილ ოესტეში“ დაიწყო. 18 წლისა იგი მადრიდის „რეალში“ გადავიდა, შემდეგ თამაშობდა „სარაგოსაში“. მადრიდის „ატლეტიკოს“ შემადგენლობაში კი ესპანეთის ჩემპიონი გახდა.

„იუვენტუსში“ ესნაიდერმა ფილიპო ინძაგისთან ერთად თავდასხმის დუეტი უნდა შეადგინოს.

# გაბრიელ ბატისტუტა: „ტიფოზებს არ ვცხრილავ"



„ბატი-გოლი" ვერა და ვერ დაოკდა, გოლი გოლზე გააქვს. „ფიორენტინას" არგენტინელი კაპიტანი შეუჩერებელია — 17 მატჩში ამდენივე გოლი. რაღა გასაკვირია, რომ „ფიორენტინა" სერია A-ს გათამაშების ცხრილს ლიდერობს. ფლორენციულ კლუბს გაბრიელ ბატისტუტას გარდა სხვა ღირსშესანიშნაობებიც აქვს: რუი კოშტა, ედმუნდო, ჰაინრიხი... მოკლედ, ვერავინ იტყვის, რომ „ფიორენტინა" მაინცდამაინც ერთი კაცის გუნდია. თუნდაც ის რად ღირს, რომ გუნდს ჯოვანი ტრაპატონი თავკაცობს. მაგრამ ერთი კია — სანამ „ბატი-გოლი" შეუჩერებელია, „ფიორენტინას" იტალიის ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილება. ეს დღეს უკვე აქსიომაა...

● ***მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თქვენ „ფიორენტინას" დატოვებას აპირებდით. ახლა კი... ბედნიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ...***

— ბედნიერი სწორედ იმიტომ ვარ, რომ ფლორენციაში დავრჩი. საქმე ის არის, რომ სიტუაცია მალე შეიცვალა. გუნდიდან წასვლა იმიტომ კი არ მინდოდა, რომ აქაურობა არ მომწონდა, არამედ იმიტომ, რომ ვფიქრობდი — „ფიორენტინა" ჯერ არ არის მზად უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობად, ხოლო ჩემი კარიერია კი ისე არ უნდა დასრულდეს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ტრიუმფი ვერ ვიზეიმო-მეთქი. საბედნიეროდ, დღეს სულ სხვა განწყობაზე ვარ. რაც შეეხება ფლორენციას, ეს ქალაქი ჩემთვის მეორე სამშობლოდ იქცა და მასთან განშორება უთუოდ გამიჭირდება.

● ***კლუბის პრეზიდენტმა ჩეკი გორომ ამას წინათ განაცხადა: „10 ბატისტუტა რომ მყავდეს იტალიის ჩემპიონები ნაღდად გავხდებოდით, ხოლო 10 მარადონა ამისათვის საკმარისი აღარ არის". როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა ჩეკი გორი?***

— ასეთი რამ მე არ მსმენია. თუკი მაინც ჩათვლით, რომ ასეთი რამ მართლაც ითქვა, მადლობის მეტი რა მეთქმის. დიეგო მარადონა ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა და მასთან შედარება დიდი პატივია. რაც შეეხება იმას, რომ 10 ბატისტუტა 10 მარადონაზე მეტის გამკეთებელია — ჩემდა სამწუხაროდ, ეს ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. მარადონას დარი სუპერვარსკვლავი არასდროს დაბადებულა. მიღწევებითაც ჩემზე გაცილებით მაღლა დგას.

● ***ორი „კოპა ამერიკა" და ამ ტურნირების საუკეთესო ბომბარდირობა, არგენტინის ჩემპიონობა და ბომბარდირობა, იტალიის თასი და სუპერთასი, სერია A-ს საუკეთესო სნაიპერი. მსოფლიო ჩემპიონატის ორ ფინალურ ეტაპზე გაიტანეთ 9 გოლი. როგორ ფიქრობთ, ეს მოკრძალებული შედეგია?***

— არ მინდა ზედმეტად თავმდაბალი კაცის შთაბეჭდილება მოვახდინო. ეს მიღწევები სიამაყით მავსებს და ვთვლი, რომ მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში ჩემი სიტყვა მეთქმის.

● ***ჯერ კიდევ შარშან, როცა იტალიის ჩემპიონატი ახალი დაწყებული იყო, თქვენ განაცხადეთ, რომ ტრაპატონი მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია...***

— მართლაც ასეა. ჩემს კარიერაში ბევრ კარგ მწვრთნელთან მიმუშავია, მაგრამ „მისტერი" (ჯოვანი ტრაპატონის თიკუნი — *რედ.*) მართლაც შეუდარებელია. ის უნიკალური მოვლენაა — კაცი, რომელიც გამარჯვებისთვის არის გაჩენილი და ყოველთვის პირველობისთვის იბრძვის. მისი ენთუზიაზმი გადამდებია და საშუალო დონის ფეხბურთელებსაც კი უმაღლეს ამბიციებს უღვივებს. შემთხვევითობა არ ყოფილა, რომ გუნდში დარჩენა მაშინ გადავწყვიტე, როცა გავიგე — ტრაპატონი ჩემზე დიდ იმედებს ამყარებს.

● ***ალბათ კლუბის სეზონის წინა სატრანსფერო პოლიტიკასაც გადახედეთ.***

— ეს ჩვენი წარმატებების უმთავრესი მიზეზია. „ფიორენტინას" ყოველთვის ჰყავდა მაღალტექნიკური ფეხბურთელები, მაგრამ ნამდვილი საბრძოლო ჟინი გვაკლდა. ახლა კი კლუბის ხელმძღვანელობამ სხვა გეზი აიღო და გუნდში ამბიციური გამარჯვებებით განებივრებულნი მოიწვია. ჰაინრიხი, ტორიჩელი, რეპკა და ამორი არაერთხელ ყოფილან თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები, ნაკრებებშიც უთამაშიათ და ამდენად, მიჩვეულნი არიან ფსიქოლოგიური პრესის ატანას.

● ***ბოლო დროს პრესა ქათინაურებს არ იშურებს თქვენი თანაკლუბელის რუი კოშტას მისამართით. მას ხან ზიდანს ადარებენ, ხან პლატინის...***

— რუი კოშტა რუი კოშტაა. მას არავისთან შედარება არ სჭირდება. საერთოდ, ძალიან არ მიყვარს, როდესაც ფეხბურთელს ვიღაცას ადარებენ. ეს ყველაფერი სისულელეა და თავმოყვარე ფეხბურთელის მიერ შეურაცხყოფად უნდა აღიქმებოდეს. მე გაბრიელ ბატისტუტა ვარ და ბავშვობიდან ვოცნებობდი, რომ ჩემი სახელი გულშემატკივრებისთვის ცნობილი გამხდარიყო, მაგრამ არა როგორც „ახალი კემპესი", ან „მომავალი არტიმე".

● ***როგორ ფიქრობთ, დადგა დრო, რომ „ფიორენტინაც" ისეთივე სუპერკლუბად იქცეს, როგორებიც არიან „იუვენტუსი", „მილანი", „ინტერი"?***

— ამის შესახებ ტრაპატონის უკვე ჰქონდა საუბარი კლუბის პრეზიდენტთან. „ფიორენტინა" რომ ევროპული კლასის გუნდად ჩამოყალიბდეს, ამისთვის რადიკალური ცვლილებებია საჭირო. მოკლედ, ფლორენციაში უნდა შეიცვალოს სიტუაცია და გულარხეინი განწყობილებაც. სხვაგვარად, დიდი მიზნებს განხორციელება არ უწერია. საბედნიეროდ, ჩეკი გორიმ მთლიანად გაიზიარა ტრაპატონის იდეები. ასე რომ, ფლორენცია მსოფლმხედველობას შეიცვლის.



ბატისტუტა ბარიერზეა

● ***არგენტინელები ახლა თითქმის ყველა წამყვან იტალიურ კლუბებში თამაშობენ. ბევრი მათგანი თქვენი კონკურენტიცაა „სკუდეტოსთვის" ბრძოლაში — სიმეონე და ძანეტი „ინტერიდან", ალმეიდა „ლაციოდან", ბალბო, სენსინი, კრესპო და ვერონი „პარმადან"...***

— ჩემი თანამემამულენი ყოველთვის კარგად ეწყობოდნენ იტალიურ ფეხბურთს. რაც შეეხება კონკურენციას, იგი მწვანე მინდორზე მთავრდება, ცხოვრებაში კი ჩვენ ახლო მეგობრებად ვრჩებით.

● ***გოლის გატანით გამოწვეულ სიხარულს თქვენ ახლა სხვანაირი ფორმით გამოხატავთ. მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვილის დარწევის იმიტაციასაც კი აკეთებდით, ახლა კი ხანდახან ავტომატით „ცხრილავთ" ტიფოზებს.***

— საფრანგეთში მხოლოდ ერთხელ გავიმეორე ბებეტოს მიერ შემოღებული ჟესტი. ისიც იმიტომ, რომ ორი დღით ადრე ბავშვი შემეძინა. ახლანდელი „ავტომატის სროლა" კი უბრალოდ, თავის შექცევაა და არა აგრესია. ყოველი ფორვარდი თავისებურად გამოხატავს წარმატებით გამოწვეულ ემოციებს — მე ტიფოზებს კია არა, მოწინააღმდეგის კარს ვცხრილავ.

იტალიური პრესის მიხედვით
მოამზადა „ლელოს"
უცხოეთის სპორტის განყოფილებამ

## ჟუნიორ ბაიანო, რომელიც ტიროდა...

ბრაზილიაში არ მთავრდება (და, ეტყობა, კიდევ დიდხანს არ დამთავრდება!) კამათი და დავა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის შედეგების შესახებ. როგორ მოხდა, რომ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები მივიდა ფინალამდე და იქ ფრანგებთან დამარცხდა? ამჯერად პოპულარულ ჟურნალ „პლაკარის" კორესპონდენტი ესაუბრა ბრაზილიის ნაკრების ცენტრალურ მცველ ჟუნიორ ბაიანოს.



● ***საფრანგეთში რომ მიემგზავრებოდით, გქონდათ იმედი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის უძლიერესი ცენტრალური მცველი გახდებოდით?***

— გულახდილად რომ გითხრათ, მქონდა. მაგრამ საბოლოოდ, ფიფას ვერსიის თანახმად, მხოლოდ ამ შეჯიბრების 30 საუკეთესო მოთამაშეს შორის მოვხვდი. გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო. ფინალი ფრანგების წინააღმდეგ, მხოლოდ ჩემთვის კი არა, მთელი ჩვენი ნაკრების კატასტროფა იყო. და მაინც, მეორე ტაიმის დასაწყისში რომ ერთი საპასუხო გოლი გაგვეტანა, საქმე შეიძლებოდა სხვანაირად წარმართულიყო.

● ***ფინალური სასტვენის შემდეგ მხოლოდ თქვენი სახე აჩვენეს ტელევიზიით მსხვილი პლანით, ტიროდით...***

— საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. ეს იყო განწირულობისა და უძლური სიავის რაღაც თავისებური ნარევი. რამდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ ეს იყო ჩემი ოცნება: ნაკრებში მოხვედრა, საფრანგეთში გამგზავრება, ფინალურ მატჩში თამაში და გამარჯვება. საფრანგეთში მშვენიერი შესაძლებლობები გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. სამწუხაროდ, უბედურებამ, რომელიც რონალდოს მოუვიდა, მთელ გუნდზე ძალიან ძლიერად იმოქმედა.

● ***როგორ ფიქრობთ, მსოფლიო ჩემპიონატზე ბევრი შეცდომა მოგივიდათ?***

— თუ მათ შედეგებზე ვიმსჯელებთ, ჩვენი შეცდომები ნორვეგიელებთან შეხვედრაში გამოჩნდა, რომელიც წავაგეთ — 1-2. მე, იმ ეპიზოდში, როცა ჩვენს კარში პირველი გოლი აღმოჩნდა, ისე მკვეთრად, როგორც საჭირო იყო, არ შევუტიე ბურთის წასართმევად ფლოს. საქმე ის არის, რომ ერთი გაფრთხილება უკვე მქონდა, შემეშინდა მეორის მიღება (რაც შემდეგ მატჩს ჩილელებთან გამომატოვებინებდა). თუკი უფრო მკვეთრად ვიმოქმედებდი, შემეძლო ბურთის დაუფლება. მეორე შემთხვევაში, როცა ჩემს გამო ჩვენს კარში პენალტი დაინიშნა, მე, რა თქმა უნდა, მეტოქეს მოვქაჩე მაისური. მაგრამ ეს ისეთი დანაშაული არ იყო, რომ პენალტი დაენიშნათ.

● ***რატომ არ ერთვოდით მსოფლიო პირველობის მატჩებში შეტევაში, როცა ამას „პალმეირასში" ხშირად აკეთებთ?***

— ასეთი იყო ზაგალოს დავალება. ჩვენთან ჩემს გარდა ბევრი ფეხბურთელი იყო, რომლებსაც შეეძლოთ შეტევაში ეფექტური მოქმედება — რონალდო, რივალდო, სეზარ სამპაიო, რობერტო კარლოსი. კაფუ თავის ფრთაზე სისტემატურად ერთვოდა იერიშში. მე წინ მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობის დროს გავდიოდი.

● ***მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიისათვის უკვე განვლილი ეტაპია. რაზე ეჩურჩულებოდით ამას წინათ ასე საიდუმლოდ ვანდერლეი ლუქსემბურგოს? გინდოდათ მის ნაკრებში თამაში?***

— მან მხოლოდ ის მითხრა, რომ მე მშვიდად ვყოფილიყავი. დღეისთვის არა მაქვს ნაკრებში ჩემი ოსტატობის ჩვენების საშუალება. ამიტომ „პალმეირასში" კარგი თამაშით უნდა ავიმაღლო საკუთარი რეიტინგი და ლუქსემბურგოსაგან ახალ მიწვევას დაველოდო.

### მორიგი ტრაგედია სანქტ-პეტერბურგში

პეტერბურგში მოკლეს რუსეთის პირველ დივიზიონში მოთამაშე „ლოკომოტივის" (სანკტ-პეტერბურგი) ადმინისტატორი პაველ კუზენკო.

ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტები დაუკავშირდნენ გუნდის მთავარ მწვრთნელს გივი ნოდიას, რომელმაც განაცხადა, რომ კუზენკო „ლოკომოტივისათვის" ეძებდა და გუნდის ხელმძღვანელობას სთავაზობდა სხვადასხვა უკრაინელ კანდიდატს.

მკვლელობა კუზენკოს საფეხბურთო საქმიანობასთან დაკავშირებული არ უნდა იყოს — ასე ფიქრობენ სანკტ-პეტერბურგში.

## მოკლედ ნომრიდან — ნომრამდე

● გერმანული „ბილდის" ცნობით, ბუნდესლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები არიან „შტუტგარტის" ბულგარელი გამთამაშებელი კრასიმირ ბალაკოვი, „ბაიერნის" ნახევარმცველი შტეფან ეფენბერგი და დორტმუნდის „ბორუსიას" მცველი მათიას ზამერი. ისინი წელიწადში 6,5-6,5 მილიონ მარკას (3,88 მილიონი დოლარი) იღებენ.

● უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გამოაქვეყნეს რამდენიმე საინტერესო ცნობა, რომელიც მწვრთნელებს ეხება. სახელდობრ, ჰოლანდიის „ფეიენოორდის" თავკაცმა ლეო ბეენჰაკერმა კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. ესპანური „რასინგის" მეპატრონეებმა ახალი მწვრთნელი მიიწვიეს — პარაგვაელი გუსტავო ბენიტესი. „რასინგში" კიდევ ერთი სიახლეა — მადრიდის „რეალიდან" გადავიდა ემილიო ამავისკა.

● გერმანული პრესის ცნობით, გრძელდება მოლაპარაკება მიუნხენის „ბაიერნსა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის ნახევარმცველ დევიდ ბექჰემის ბავარიულ კლუბში გადასვლის თაობაზე.

● ინგლისის პრემიერ-ლიგის კლუბმა „ბლექბერნმა" პირველი დივიზიონის „კრისტალ პალასიდან" 4 მილიონ გირვანქად (6,63 მილიონი დოლარი) 21 წლის ფორვარდი მეტ იანსენი შეიძინა.



### კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი „ბებერ ქალბატონში"

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ტურინის „იუვენტუსში" ჩაირიცხა „მონაკოსა" და საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების 21 წლის ფორვარდი ტიერი ანრი. იგი გახდა მესამე მსოფლიო ჩემპიონი (ზინედინ ზიდანთან და დიდიე დეშამპთან ერთად), რომელიც იტალიის რჩეულ გუნდში გამოდის.

### გერშკოვიჩი და პავლოვი

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ოლეგ რომანცევს, რომელიც მოსკოვის „სპარტაკშიც" გააგრძელებს მუშაობას, დაეხმარებიან მიხაილ გერშკოვიჩი და სერგეი პავლოვი. ამასთან, პავლოვი რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გადასულ „სატურნის" (რამენსკოე) მთავარ მწვრთნელადაც დარჩება.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



შტეფი გრაფი



ვუდფორდი (მარჯვნივ) გამარჯვებას ულოცავს რაფტერს



მერი პირსი

# ავსტრალიის ღია პირველობას გამოეთიშა პირველიც, მეორეც...

ავსტრალიის ჩემპიონატის სტარტზე მართლაც რომ მოულოდნელი ამბავი მოხდა. ჩილელმა მარსელო რიოსმა, რომელიც პიტ სამპრასის არყოფნაში პირველ ნომრად იყო განთესილი, ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე ტრავმა მიიღო და თამაშზე უარი განაცხადა. ამრიგად, ჟურნალისტებს აშკარად მოაკლდათ „საბილო" — რიოსი ხომ ჩოგბურთის სამყაროში ყველაზე უფრო ანტიპათიურ ადამიანად ითვლება. მეორე წრეში დამარცხდა და შეჯიბრების დატოვება მოუხდა მეორე ნომრად განთესილ ალექს კორეტჯასაც (ესპანეთი). საერთოდ, ესპანელებმა, რომლებსაც ამ ბოლო წლებში ჩოგბურთში მძლავრი პოზიციები აქვთ, დიდი დანაკლისი განიცადეს — მათი 9 წარმომადგენელი გამოეთიშა შეჯიბრებას. მათ შორის კარლოს მოია, ამ შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი. დასაწყისის სხვა შეხვედრებში ყურადღება მიიპყრო მარატ საფინის მოულოდნელმა გამარჯვებამ ცნობილ ბრაზილიელ ოსტატ გუსტავო კუერტენთან.

თუ ვაჟთა შეჯიბრებაში საკმაო სიურპრიზებია, ქალთა ასპარეზობა საკმაოდ წყნარად დაიწყო. წყნარად, იმ გაგებით, რომ ჯერჯერობით ყველა განთესილი იგებს თავის შეხვედრებს, მათ შორის მატჩები კი უახლოეს ხანებში დაიწყება.

## უაღრესად ძლიერი შემადგენლობა ვეიკ-ან-ზეეში

ვეიკ-ან-ზეეს (ჰოლანდია) სუპერტურნირი წლევანდელ საჭადრაკო კალენდარში უდავოდ საპატიო ადგილს დაიკავებს. მასში 12 განთქმულ დიდოსტატთან ერთად ორი ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკეც მონაწილეობს, რომლებმაც ეს უფლება შარშანდელ სპეციალურ შესარჩევ შეჯიბრებაში მოიპოვეს. ამან ტურნირის კატეგორია (ახლა მეთვრამეტე კატეგორიაა) რამდენადმე კი დასწია, მაგრამ მსოფლიო ელიტის წარმომადგენელთა გამოსვლამ არ შეიძლება დიდი ინტერესი არ გამოიწვიოს.

მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვს შარშანდელივით უფერული სეზონი ალბათ არასოდეს ჰქონია. უპირველეს ყოვლისა, იგი „კლასიკური ჭადრაკის" შეჯიბრებებში ძალზე ცოტას მონაწილეობდა. ლინარესში მხოლოდ მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო ვლადიმირ კრამნიკთან, ვიშვანათან ანანდმაც გაასწრო და ალექსეი შიროვმაც. 10 ყაიმი და 1 მოგება (მართალია, თვით ანანდთან) ვერაფერი შედეგი იყო. ამას დავუმატოთ მატჩის მოგება იან ტიმანთან (4:2) — ეს არის და ეს. გარდა ამისა, კასპაროვი მონაწილეობდა „სწრაფი ჭადრაკის" შეჯიბრებებში, თამაშობდა ერთდროული თამაშის სეანსებში. ეს კი ცოტაა, ძალიან ცოტა! ამიტომ ახლა კასპაროვი განსაკუთრებული მონდომებით იბრძვის, რათა გადაასწროს ანანდს, რომელმაც 1997 წლის სეზონის შედეგად წაართვა მას „ოსკარი". ალბათ 1998 წლის „ოსკარსაც" ჟურნალისტები ანანდს მიანიჭებენ (ყოველ შემთხვევაში, „ლელოს" წარმომადგენელმა სწორედ ინდოელს მისცა ხმა). ანანდი შარშან იმარჯვებდა ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობდა, თუმცა ჰქონდა ისეთი შემთხვევაც (დორტმუნდში), როცა 9 პარტიიდან 8 ყაიმით დაასრულა, ერთი კი წააგო. ეს ტურნირი შარშან ანანდისათვის ერთადერთი უსიამოვნო გამონაკლისი იყო.

მაშ ასე, მიმომხილველები ასე სვამენ კითხვას: კასპაროვი თუ ანანდი? ამ აზრს, ცხადია, არ ეთანხმებიან არც ვლადიმირ კრამნიკი, არც ვასილი ივანჩუკი და არც ცხადია, მსოფლიო ჩემპიონობის ახლანდელი პრეტენდენტი ალექსეი შიროვი. მათ გარდა ვეიკ-ან-ზეეში გამოდიან აგრეთვე პეტრე სვიდლერი, ვესელინ ტოპალოვი, იან ტიმანი, ლიუკ ვან ველი, ალექს ერმოლინსკი, ივან სოკოლოვი, იერუნ პიკეტი.

სამი ტურის შემდეგ 2,5 — 2,5 ქულით დაწინაურდნენ კასპაროვი და ანანდი. ტურნირი ვეიკ-ან-ზეეში 31 იანვრამდე გასტანს.

## რა ხდება ქვეყანაზე

### ტაისონი „ქუჩის ბიჭობას" არ იშლის

**ხმები** იმის შესახებ, ტაისონი ის „ქუჩის ბიჭი" აღარ არის, ადრე რომ იყო, თურმე სურვილი ყოფილა და მეტი არაფერი. მას სამხრეთაფრიკელ ფრანსუა ბოტასთან წინასამეხვედრო ინტერვიუეში დახვეწილობისა და მეტოქისადმი თავაზიანობის, რასაც საგანგებოდ აღნიშნავდნენ კომენტატორები, თვით ბრძოლის მსვლელობისას, ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა და საკმაოდ თავაშვებული სიტყვებით მოიხსენიებდა მეტოქეს და არაფერს ერიდებოდა. კერძოდ, ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვაზე

● ***როგორ გგონიათ, რას იზამს ბოტა 16 იანვარს?*** — მან ასე უპასუხა.

— რინგზე გონებას დაჰკარგავს.

● ***შემდეგ?***

— შემდეგ მოკვდება.

იგივე განუცხადა მან ტელევიზიის კორესპონდენტს. მაგრამ ეს დასაწყისი იყო. კითხვაზე მის ზღვარგადასულ აგრესიულობაზე რინგზე, კერძოდ ევანდერ ჰოლიფილდთან გახმაურებულ შეხვედრაში, რასაც მისი დისკვალიფიკაცია მოჰყვა, მაიკმა ასე უპასუხა.

— მოკრივეთა შეჯიბრება — ეს ბრძოლაა, ბრძოლაში კი რაც ხდება, ის ხდება.

● ***თქვენი ბილწსიტყვაობა რაღაა?***

— გელაპარაკებით ისე, როგორც მსურს, — მიუგო ტაისონმა. — თუ არ მოგწონთ, შეგიძლიათ გამორთოთ მიკროფონი.

შეურაცხყოფილმა კორესპონდენტმა უყოყმანოდ ისარგებლა თანამოსაუბრის რჩევით, წარმატება უსურვა მომავალ ბრძოლაში. მაგრამ იქვე გაისტუმრა — ჯანდაბაში კი არა, უფრო... ალბათ მიხვდით.

ბოლო პრესკონფერენციაზე მთელი 45 წუთი დააგვიანა.

— მოდით შაბათის ბრძოლაზე, — მიმართა მოკრივემ დარბაზში დამსწრეთ. — არ ინანებთ. ბოტას მარცხენათიც გავუსწორდები.

— ვინ იცის, შეიძლება ასეც მოხდეს, — შენიშნა თავის მხრივ სამხრეთამერიკელმა მოკრივემ, მაგრამ როგორ შეძლებს ამას ტაისონი, როცა ათი დღის წინ სწორედ მარცხენა ხელი დაიზიანა...

წვრთნაზე მაიკს მართლაც უგრძვნია მარცხენა ხელის ტკივილი, მოტეხილობა ხომ არ არისო ექიმსაც მიმართეს, რომელსაც დაუმშვიდებია მოკრივე, სერიოზული არაფერიაო.

სხვათა შორის, ტაისონთან შეხვედრით ფულის მოგება ბოტას გარდა, პროფესიული რინგის „პატრიარქს", ორგზის მსოფლიო ჩემპიონ „პაპა" ჯორჯ ფორმენსაც სურს, რომელმაც კარგა ხანია ორმოცდაათს გადააბიჯა, განაცხადა, რომ მასაც „სურს" ტაისონი, თანაც დაუყოვნებლივ.

— გადაეცით, — მიმართა ჟურნალისტებს, — ვთავაზობ რეალური ფულის გაკეთებას, ვიდრე იგი „თავისუფალი აგენტია". მალე მას ვიღაც აუცილებლად გალახავს, მაშინ აღარც ფული ექნება და აღარც სახელი...

ცხადია, ფორმენის ამ რეპლიკას ყურად იღებს ტაისონი.

ისე კი, შაბათის მატჩს მისთვის ოცი მილიონი დოლარი უნდა მოეტანა...

## ქურდები რუს სპორტსმენებსაც ავიწროებენ

რუსეთში მოდად იქცა გამოჩენილ კინოვარსკვლავების, სპორტსმენების ცნობილი მოღვაწეებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კოსმონავტების გაძარცვაც კი.

წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი, სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე, ამჟამად ცნობილი სპორტული კომენტატორი მასლაჩენკო ბანდიტებმა ტრასაზე გააჩერეს, ვლადიმირს ცემა დაუწყეს, ის იყო მანქანის წართმევა დააპირეს, რომ სალონიდან ძაღლი გადმოხტა და თავდამსხმელებს განზრახვაზე ხელი აალებინა.

ძარცვას ბედად გადარჩა იგორ ჩისლენკოც. უკვე მის ბინაში შეჭრილ მძარცველებს მილიციამ, როგორც იტყვიან, სულზე მიუსწრო.

აი, სპარტაკელ ვლადიმერ ბესჩასტნიხს კი ვერაფერმა უშველა — ბანდიტები ბინაში შეუცვივდნენ, ისიც და ცოლიც გაკოჭეს, პირში ჩვრები ჩასჩარეს და იარაღის გამოყენების მუქარით პირწმინდად გაძარცვეს.

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს სპორტკლუბ „მრეტების" პრეზიდენტს ირაკლი ქავთარაძეს მამის**

**ბურამ ქავთარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ უეცრად გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უერთგულესი ქომაგი ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბის პირველი პრეზიდენტი**

**ბურამ ქავთარაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**





5



12



16



19

**თარაზულად:** 5. უეფას გენერალური მდივანი *(ფოტო)*, 7. ინგლისის საფეხბურთო კლუბი. 8. წარსულში კიევის „დინამოს" ფორვარდი, 11. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 12, მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი *(ფოტო)*, 13. წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი მცველი, 16. შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების წევრი *(ფოტო)*, 17. „ფორმულა-1"-ის ლეგენდარული პილოტი, 21. „ბარსელონასა" და ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 22. ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 23. სპორტის სახეობა, 26. „იუვენტუსში" ამ დღეებში გადასული არგენტინელი ფორვარდი, 27. ზამთრის სპორტის სახეობა, 28. ქართველი ძალოსანი, მსოფლიოს რეკორდსმენი.

**შვეულად:** 1. შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალი, 2. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 3. დორტმუნდის „ბორუსიას" ნახევარმცველი. 4. წარსულში ცნობილი სოხუმელი მსაჯის მილჩენკოს სახელი, 6. სლოვაკი ჩოგბურთელი ვაჟი, 9. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 10. მოთამაშეების ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა. 14. წარსულში ცნობილი შვედი ჩოგბურთელი ვაჟი, 15. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 18. ოჩამჩირის საფეხბურთო კლუბი, 19. წარსულში ცნობილი ქართველი ძალოსანი *(ფოტო)*, 20. კურორტი აფხაზეთში, 24. სპორტული იარაღი მშვილდოსნობაში, 25. მძლეოსნობის სახეობა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ლb7!

1. ...მფ:c4 2. ლb3X.

1. ...მფ:e6 2. ლf7X.

1. ...მფe4 2. ლ:c6X.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ცერცვაძე, 6. „ბრონდბიუ", 8. „სტანდარდი", 11. ონილი, 14. მარკო, 15. ფონესკა, 16. „იბერია", 17. გრანდი, 21. რინკონი, 22. სლავა, 23. აიოვა, 26. „კოპეტდაგი", 27. არდილესი, 28. ჩისლენკო. **შვეულად:** 1. გერმანია, 2. ლახტი, 3. „ბორდო", 4. ლიზარაზუ, 7. „ოდენსე", 9. ალთაბაევი, 10. „სამპდორია", 12. ბოლივია, 13. "ეკერენი", 18. კოლიმორი, 19. „სკონტო", 20. შევჩენკო, 24. კორეა, 25 აგასი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე